ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7897561

ნომერი: AR11138711

თარიღი : 17.04.2026

გაცემის თარიღი : 27.04.2026

გაცნობის თარიღი : 27.04.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კრწანისის II შესახვევი , N 24; ქალაქი თბილისი , კრწანისის ქუჩის ბოლოს; ქალაქი თბილისი, კრწანისის II შესახვევი, N 26; ქალაქი თბილისი, კრწანისი, სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კრწანისი , პრეზიდენტის რეზიდენციის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ნამორაძე პ/ნ 01036001755
- ქ. თბილისი. შარაშიძის ქ. #5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა კორექტირება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შეისწავლა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც გსურთ რელიეფის დონეთა სხვაობის გამო (რთული რელიეფით განპირობებული არათანაბარი სიმაღლის ნიშნულების გამო) გრუნტის ზედაპირის გასწორების მიზნით გრუნტის დაყრა – მოსწორება . აღნიშნული სამუშაოები არ ექცევა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით განსაზღვრულ იმ ობიექტთა/სამშენებლო სამუშაოთა ნუსხაში, რომელთა მშენებლობა, მონტაჟი/დემონტაჟისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაიცემა მშენებლობის ნებართვა ან წერილობითი დასტური.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.